

# ლევერიჯიდან-დელევერიჯამდე საფრთხეების ანალიზი ეკონომიკურ საქმიანობაში

*ლომინაშვილი-ფრუიძე მედეა – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი,  
ბიზნესის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## **From Financial Leverage to Deleverage – Analyzes of Treats in Economic Affair**

*Lominashvili-Pruidze Medea – Associated Professor, Department of Business Administration, Akaki  
Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### **Abstract**

**Introduction and aim:** At a certain stage of economic activity, economic entities can have critical disbalance in the chain of “liabilities-assets-revenue” which is a condition of activity when the liabilities are predominantly rising to assets and the growth of assets precedes the growth of revenue. Such kind of situation is dangerous for the activities of the subjects and in the developed countries to prevent such disbalance deleverage activities are addressed to.

Deleverage process serves and means facilitation of the burden of debt repayment process during which happens retreating from the economic entities’ hard, financial crisis situation in the terms of growing liabilities in advance of revenue. Namely, deleverage is putting agricultural economic entities’ revenues in rising dynamics’ path and in general, it is a lever for restoring economic balance.

In the current economical conditions and standard business cycle, fastened economic rise period, subjects actively take credit for business development. Rational planning and moderately used loan, timely returned credit is a means of stimulating activity, capital drives, and development of solvency. However, improper spending of fetched funds can become the reason of heavy credit burden and in most cases the reason of recession on which various overcoming measures, possible outcomes and expectations are discussed in details in the article.

Presented deleverage process clearly reflects the drawl of rehabilitation process in the economical entities’ limited resources conditions. So, that highlights requirement of deleverage process as the result of improper spending of resources as unpleasant but the imminent process because of the circumstances. The article presents the importance of the operational and industrial leveraging of analyze and evaluation of economic activities process which gives the possibility of prevention of possible crises and their potential hard results, ability of protection from the threat of bankruptcy. With the protection of leverage concept, the moderation of rationality of loan’s usage is protected too. There is formed number of measures and recommendations to protect from deleverage in leveraging conditions.

**Research methodology:** Comparison of economic analysis, deduction and induction methods. Percent calculation of the saw.

**Results and implications:** At a certain stage of economic activity, economic entities can have critical disbalance in the chain of “liabilities-assets-revenue” which is a condition of activity when the liabilities are predominantly rising to assets and the growth of assets precedes the growth of revenue. Such kind of situation is dangerous for the activities of the subjects and in the developed countries to prevent such disbalance deleverage activities are addressed to.

Deleverage process serves and means facilitation of the burden of debt repayment process during which happens retreating from the economic entities’ hard, financial crisis situation in the terms of growing liabilities in advance of revenue. Namely, deleverage is putting agricultural economic entities’ revenues in rising dynamics’ path and in general, it is a lever for restoring economic balance.

**Conclusion:** Presented deleverage process clearly reflects the drawl of rehabilitation process in the economical entities’ limited resources conditions. So, that highlights requirement of deleverage process as the result of improper spending of resources as unpleasant but the imminent process because of the circumstances. The article presents the importance of the operational and industrial leveraging of analyze and evaluation of economic activities process which gives the possibility of prevention of possible crises and their potential hard results, ability of protection from the threat of bankruptcy. With the protection of leverage concept, the moderation of rationality of loan’s usage is protected too. There is formed number of measures and recommendations to protect from deleverage in leveraging conditions.

**Keywords:** Leverage, Deleverage, disbalance, credit, credit burden, liabilities, revenue, measures.

## აბსტრაქტი

**მესავალი და მიზანი:** ეკონომიკური საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე სამეურნეო სუბიექტებს შეიძლება შეექმნათ კრიტიკული დისბალანსი „ვალდებულებები-აქტივები-შემოსავლების“ ჯაჭვში, რაც საქმიანობის ის მდგომარეობაა, როდესაც ვალდებულებები წინმსწრებად მზარდია აქტივებზე, ხოლო აქტივების ზრდა წინ უსწრებს შემოსავლების ზრდას. მსგავსი მდგომარეობა სახიფათოდ საშიშია მეურნე სუბიექტების საქმიანობისთვის და განვითარებულ ქვეყნებში ასეთი დისბალანსის აღსაკვეთად მიმართავენ დელევერიჯის ღონისძიებებს.

დელევერიჯის პროცესი ემსახურება და გულისხმობს ვალის დაბრუნების პროცესის ტვირთის შემსუბუქებას, რომლის დროსაც ხდება სამეურნეო სუბიექტების რთული, ფინანსური კრიზისული სიტუაციიდან უკუქცევა ვალდებულებების შემოსავლებზე წინმსწრებად ზრდის პირობებში. ე.ი. დელევერიჯი, სამეურნეო სუბიექტების შემოსავლების მზარდი დინამიკის კალაპოტში მოქცევის, ზოგადად ეკონომიკური წონასწორობის აღდგენის ბერკეტია.

**კვლევის მეთოდოლოგია:** ეკონომიკური ანალიზის შედარების, დედუქციის და ინდუქციის მეთოდები. პროცენტის გაანგარიშების ხერხი.

**შედეგები და გამოყენება:** დღევანდელი ეკონომიკის პირობებში სტანდარტული საქმიანი ციკლის პირობებში დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის პერიოდში სუბიექტები აქტიურად ღებულობენ კრედიტებს ბიზნესის განვითარებისათვის. რაციონალურად და გეგმაზომიერად გამოყენებული სესხი, დროულად დაბრუნებადი კრედიტი, წარმოადგენს საქმიანობის სტიმულირების, კაპიტალის მამოძრავებელ, გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების საშუალებას. თუმცა მოზიდული სახსრების არარაციონალური ხარჯვა სამეურნეო სუბიექტების მიმე საკრედიტო ტვირთის და ხშირ შემთხვევაში რეცესიის მიზეზიც შეიძლება გახდეს. რომლის დაძლევის სხვადასხვა ღონისძიებების შესაძლო შედეგებსა და მოლოდინზე სტატიაში დეტალურად არის საუბარი.

**დასკვნა:** წარმოდგენილი დელევერიჯის პროცესი კარგად ასახავს მდგომარეობის გაჯანსაღების პროცესის გაჭიანურებას სამეურნეო სუბიექტების შეზღუდული რესურსების პირობებში. და ფაქტად აქცევს იმას, რომ დელევერიჯის პროცესის საჭიროება დგება სახსრების არარაციონალურად ხარჯვის შედეგად, როგორც არასასიამოვნო, მაგრამ გარემოებათა გამო უკვე გარდაუვალი პროცესი. სტატიაში წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის პროცესების მუდმივი ანალიზის და შეფასების ოპერაციული და საწარმოო ლევერეჯის მნიშვნელობა, რომელიც იძლევა მოსალოდნელი კრიზისების პრევენციის შესაძლებლობას და მათი მოსალოდნელი მიმე შედეგების, გაკოტრების საფრთხისგან დაცვის შესაძლებლობას. ლევერიჯის კონცეფციის დაცვით დაცულია ზომიერება სესხის გამოყენების რაციონალურობასთან დაკავშირებით. ჩამოყალიბებულია ლევერიჯის პირობებში დელევერიჯისაგან თავის დაცვის რიგი ღონისძიებები და რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** ლევერიჯი, დელევერიჯი, დისბალანსი, კრედიტი, საკრედიტო ტვირთი, ვალდებულებები, შემოსავლები, ღონისძიებები

სამეურნეო საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე სამეურნეო სუბიექტებს შეიძლება შეექმნათ კრიტიკული დისბალანსი „ვალდებულებები-აქტივები-შემოსავლების“ ჯაჭვში, რაც საქმიანობის ის მდგომარეობაა, როდესაც ვალდებულებები წინმსწრებად მზარდია აქტივებზე, ხოლო აქტივების ზრდა წინ უსწრებს შემოსავლების ზრდას. მსგავსი დისბალანსი საფრთხის მომცველია მეურნე სუბიექტების საქმიანობისთვის და განვითარებულ ქვეყნებში მის აღსაკვეთად მიმართავენ დელევერიჯის ღონისძიებებს.

დელევერიჯის პროცესი ემსახურება და გულისხმობს ვალის დაბრუნების ტვირთის შემსუბუქებას, რომლის დროსაც ხდება სამეურნეო სუბიექტების რთული ფინანსური კრიზისული სიტუაციიდან უკუქცევა, ვალდებულებების შემოსავლებზე წინმსწრებად ზრდის პირობებში. ე.ი. დელევერიჯი, სამეურნეო სუბიექტების შემოსავლების მზარდი დინამიკის კალაპოტში მოქცევის, ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის აღდგენის ბერკეტია.

მსოფლიო პრაქტიკაში დელევერიჯი უფრო მეტად ცნობილია და აქტიურად გამოიყენება გლობალური ეკონომიკური კრიზისული მდგომარეობების წონასწორული, გამაჯანსაღებელი პოლიტიკის გასატარებლად.

მაგალითად, 2006-2007 წლებში მსოფლიო ვალის ზრდის მაღალი ტემპი შეინიშნებოდა იპოთეკურ სესხებზე წარმოქმნილი ბუმის პირობებში, რასაც შედეგად მოჰყვა მსოფლიო ფინანსური კრიზისის გაღვივება და რომელიც 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის სახით არის ცნობილი. კულმინაციური და გარდამტეხი აღმოჩნდა 2007 წლის ის მდგომარეობა, როდესაც მსოფლიო ვალდებულებების და მშპ-ს თანაფარდობამ მიაღწია კრიტიკულ მაქსიმუმს. მხოლოდ ამ ზღვრული ნიშნულის მიღწევის შემდეგ ამოქმედდა დელევერიჯის პროცესი, მან შემდგომში უზრუნველყო მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობა.

1929-1933 წ.წ. დიდი დეპრესიის შემდეგ, ყველაზე მძიმე შედეგის მქონე, 2008 წლის ეკონომიკური კრიზისი გასცდა უძრავი ქონების სექტორს, მოიცვა ფინანსური და სხვა კერძო, კომერციული საქმიანობის სფეროები. აშშ-ის ხელისუფლებამ მცისიერად ამოქმედა ანტიკრიზისული - დელევერიჯის პოლიტიკა. ბაზრის ინსტიტუტებს და სუბიექტებს შორის ღრმა ურთიერთკავშირის გამო დელევერიჯი პირველივე ეტაპზე აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკური შედეგების მომტანი კერძო ბიზნესისთვის. მრავალმა სამეურნეო სუბიექტმა ვერ გაუძლო დელევერიჯის ღონისძიებების პრესს და გაკოტრდა. მაშინ დელევერიჯის პროცესი ატარებდა მასშტაბური პოლიტიკის ხასიათს, თუმცა ცნობილია, რომ დელევერიჯის პოლიტიკა მხოლოდ გლობალური ხასიათის ეკონომიკური კრიზისების გამაჯანსაღებელ ბერკეტს არ წარმოადგენს. ნელ-ნელა დელევერიჯი თავს იმკვიდრებს როგორც ეკონომიკის კომერციული სექტორის მიერ ფინანსური ლევერიჯის არაფთხილი დამოკიდებულების და ზოგჯერ კრიზისული მდგომარეობის გამაწონასწორებელი ძალა.

ისმის კითხვა, თუ ლევერიჯი შეიძლება დაჯდეს დელევერიჯის პროცესის ამოქმედების რისკის ფასად, რამდენად უსაფრთხოდ და გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს სამეურნეო სუბიექტების ლევერიჯის რისკები, რომლებიც გაწეულია მოზიდული სახსრებით კაპიტალიზაციისა და გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით? ან ხომ არ ქმნის დელევერიჯის პროცესის საჭიროების შესაძლო ალბათობა სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაში თანამედროვე საფინანსო ინსტრუმენტების ჩართულობის შეზღუდვის და წარმოების დამუხრუჭების პროცესის საფრთხეს? ამ ყველა კითხვაზე პასუხი რომ იყოს გაცემული, სასურველია გავავლოთ პარალელები დელევერიჯსა და ლევერიჯს შორის, უფრო ღრმად გავაცნობიეროთ ლევერიჯის არსი და დელევერიჯის როლი.

დავიწყოთ იქედან, რომ დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის პერიოდში, დღევანდელი ეკონომიკის პირობებში სამეურნეო სუბიექტები აქტიურად ღებულობენ კრედიტებს. ბიზნესი ყველაზე საბაზისო დონეზეც კი აქტიურად იყენებს კრედიტს სხვადასხვა ოპერაციების დასაფინანსებლად, განვითარებისთვის, კვლევებისთვის და ა.შ. ანუ, რაციონალურად და გეგმაზომიერად გამოყენებული სესხი, დროულად დაბრუნებადი კრედიტი, წარმოადგენს საქმიანობის სტიმულირების, კაპიტალის მამოძრავებელ, გადახდისუნარიანობის გაუმჯობესების საშუალებას. გარდა ამისა საქმიანობის ტემპის დაცემა-დაქვეითების მდგომარეობაში სამეურნეო სუბიექტები ხშირ შემთხვევაში უბრალოდ ვერ ახერხებენ ბიზნესის გადარჩენას კრედიტის მოზიდვის გარეშე, სესხების მოზიდვით სამეურნეო სუბიექტებს შეუძლიათ გადაიხადონ ვალდებულებები, თუნდაც აქციების დამატებითი ემისიის გარეშე.

მნიშვნელოვანია ეკონომიკური რეცესიის ხანმოკლე ციკლები განვასხვავოთ დელევერიჯის საჭიროების მქონე ხანგრძლივი ეკონომიკური დეპრესიის პროცესისგან. დელევერიჯი უკავშირდება სწორედ იმ კულმინაციურ მომენტს, როდესაც იწყება სასესხო ვალდებულებების დაფარვის და დაკრედიტების შეუძლებლობა. პროცესების მუდმივი ანალიზი და შეფასება, ოპერაციული და საწარმოო ლევერიჯი იძლევა მოსალოდნელი კრიზისების და მათი მძიმე შედეგების, გაკოტრების საფრთხის დონეზეც კი, პრევენციის და შემსუბუქების შესაძლებლობას. ლევერიჯის გაანგარიშებით შესაძლებელია კრედიტის გამოყენების ზღვრული სარგებლიანობის განსაზღვრა. მნიშვნელოვანია სიფრთხილის გამოჩენა, საკუთარ კაპიტალს/ შემოსავლებს/ მოგებას შორის თანაფარდობის კონტროლი და ზომიერების დაცვა ვალთან გათამამებით გამოწვეული შესაძლო საფრთხის გამო. ჭარბი ვალდებულებების, გაკოტრების შესაძლო საფრთხის წარმოშობისას შემოდის თამაშში დელევერიჯი, როგორც მძიმე რეცესიისგან თავის დაღწევის მოქმედებათა კურსი. რომელიც არის საქმიანობის სწორ გზაზე დაყენების და კრიზისული ვითარებიდან უკუქცევის რეალური შესაძლებლობა.

დელევერიჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რადიკალური ღონისძიებებით, დაწყებული თანამშრომლების გათავისუფლებით სამსახურიდან, დამთავრებული აქტივების მიზერულ ფასად რეალიზაციით, ყველა ღონისძიება მიმართულია ვალდებულებების დასაფარად და შესაკვეცად. თუმცა დელევერიჯი ყოველთვის გეგმის მიხედვით არ ხორციელდება. ხშირია ღონისძიებათა არაპროგნოზირებადი განვითარებაც, მაგალითად მეურნე სუბიექტების მცდელობას, მოახდინონ რა აქტივების არამომგებიან ფასად რეალიზაცია, ვალდებულებების დასაფარავად, მოჰყვება მათ აქტივებზე ფასის მყისიერი კლება. მოვლენათა ჯაჭვი აქ არ სრულდება, დელევერეჯის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ იკარგება ინვესტორთა ნდობა, ისინი გრძნობენ უიმედობას და უარს ამბობენ მსგავს სუბიექტებთან პარტნიორობაზე. ეს პროცესები კიდევ უფრო ჩიხში აქცევს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობას და ართულებს მათ ფინანსურ მდგომარეობას, ფაქტიურად მდგომარეობა შეიძლება იქამდე გართულდეს, რომ აქტივები მთლიანად დასჭირდეს ვალდებულებების უზრუნველყოფას და ზარალში წავიდეს. მაშასადამე არის საფრთხე იმისა, რომ დელევერიჯის შედეგად შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს ისედაც ჩიხში შესული ფინანსური მდგომარეობა და გახდეს სუბიექტის გაკოტრების მდგომარეობამდე მისვლის და ვალის გასტუმრების უუნარობის მიზეზიც კი.

დელევერეჯის კიდევ ერთი ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ბანკების მხრიდან ბიზნესის მხარდასაჭერი ღონისძიებების სახით. რომელიც შეიძლება გატარდეს დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიწოდების სახით. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაბალი პროცენტის პოლიტიკის გატარება ბანკების მხრიდან იწყება მხოლოდ გადახდისუნარიანობის საერთო სურათის არსებობის პირობებში.

მძიმე რეცესიის პირობებში სამეურნეო სუბიექტები ხშირად ხელს იშვერენ საფინანსო ინტიტუტებისკენ, რომლებსაც ადანაშაულებენ მათი მხრიდან თანადგომის არ არსებობაში. საფინანსო სექტორისგან ალტრუისტობას ვერ მოითხოვ, მით უფრო, რომ მძიმე რეცესიიდან თავის დაღწევა მხოლოდ სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის დაწესებით ვერ მოხერხდება. რის დასტურადაც გამოდგება 2013-2016 წლებში საქართველოში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთის პირობებში განხორციელებული ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები. სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ყველაზე დაბალი ნიშნულის პირობებში, წინა წელთან შედარებით 2016 წელს 14.8% შეადგინა, ბიზნეს სექტორზე გაცემული სესხების ზრდა მხოლოდ 2.3 საპროცენტო პუნქტით იყო წარმოდგენილი. მაშინ, როდესაც 2014 წელს, უფრო მაღალი, 16% სამ.საპროცენტო განაკვეთის პირობებში, წინა წელთან შედარებით ბიზნეს სექტორის მიერ ეროვნულ ვალუტაში აღებული სესხების მიხედვით ზრდამ შეადგინა ყველაზე მაღალი 3.8 პროცენტული პუნქტი (პპ) - 2013-2014 წლების მონაცემებით.

ხოლო უცხოურ ვალუტაში ბიზნეს სექტორზე გაცემულ სესხებზე ყველაზე დაბალი 8.3% საშუალო სასესხო ნიშნული დაფიქსირდა 2014 წელს. როდესაც, გაცემული სესხების ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა მხოლოდ 2.9 პპ [1]. ყველა შემდგომ წელს წინასთან შედარებით შეინიშნებოდა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მიხედვით კლებადი ტენდენცია, ანუ საქართველოს რეალობაში დარღვეულია, ეკონომიკის გაჯანსაღების პრინციპი, იაფი ფულის პირობებში.

ბიზნეს სექტორის დაბალი აქტივობა, სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში შეიძლება აიხსნას ფაქტით, რომ სამეურნეო სუბიექტები ვეღარ ახერხებენ კრედიტების მოზიდვას, რადგან განიცდიან ლიკვიდური აქტივების დეფიციტს. გარდა ამისა სამეურნეო სუბიექტების ფინანსური კრიზისი როგორც წესი უკვე ისეთ ფაზაშია, რომ დაბალპროცენტო სესხების პირობებში აღებული სესხის მოზიდვაც ვეღარ უზრუნველყოფს მძიმე ფინანსურ პირობებში მყოფი სუბიექტების ვალდებულებების ტვირთის შემცირებას. შედეგად სამეურნეო სუბიექტები აღარ ღებულობენ სესხს, ხოლო კრედიტორები ვერ გასცემენ კრედიტებს, ეკონომიკა კარგავს კრედიტუნარიანობას, ბანკები კლიენტებს და იკვრება საფინანსო სექტორის კრიზისის წრედი. მიუხედავად იმისა, რომ მეურნე სუბიექტები იწყებენ ხარჯების შეკვეცას პროცესის გაჯანსაღება არ იწყება. რაც ბუნებრივიცაა, ერთი სუბიექტის ხარჯი ხომ მეორესთვის შემოსავალის წყაროა, ხარჯების შეკვეცით იკლებს კაპიტალის ბრუნვა და დელევერიჯის პირობებში მყოფი სუბიექტისთვის იწყება კაპიტალის შიმშილის

პროცესი. სულ უფრო მეტი და მეტი თანამშრომლის დათხოვა ხდება საჭირო სამსახურებიდან, იზრდება უმუშევრობა და ხსვა ეკონომიკური დისბალანსის განმსაზღვრელი ფაქტორები.

შედეგად, კრიზისში ეფლობა მთელი ეკონომიკური სისტემა, სახელმწიფო განიცდის შემოსავლების დეფიციტს და იძულებული ხდება მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით გაზარდოს ფულის რაოდენობა ბრუნვაში. რამაც უნდა შეუწყოს ხელი სამეურნეო სუბიექტების კაპიტალბრუნვის პროცესის აღდენას, ვალდებულებების დაფარვას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ჯანსაღი თანაფარდობის აღდგენის გზით. როგორც წესი დელევერიჯის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და მოგებაზე ორიენტირებული არ არის, ფაქტიურად დელევერიჯის პერიოდი დაკარგული დროის პერიოდია.

წარმოდგენილი კარგად ასახავს მდგომარეობის გაჯანსაღების პროცესის გაჭიანურებას სამეურნეო სუბიექტების შეზღუდული რესურსების პირობებში. რაც ფაქტად აქცევს იმას, რომ დეველერიჯის პროცესის საჭიროება დგება სახსრების არარაციონალურად ხარჯვის შედეგად, როგორც არასასიამოვნო, მაგრამ გარემოებათა გამო უკვე გარდაუვალი პროცესი. რაც რა თქმა უნდა აპრიორი არ ნიშნავს კრედიტების გამოყენებაზე უარის თქმას, რადგან ეკონომიკური ზრდა თავისუფალი ეკონომიკის პირობებში მიიღწევა სწორედ დაკრედიტების აქტიური გამოყენებით, საქმიანობის ინტენსიფიკაციის და ბრუნვათა რიცხვის სტიმულირებით. რაც ჭეშმარიტებაა, რადგან იწყება მეურნე სუბიექტების მიერ ფულის ხარჯვის გაზრდა, ეკონომიკური სუბიექტების მიერ კრედიტის სახით მოზიდული თანხების ოდენობით. კრედიტი ხომ ისევე იხარჯება, როგორც საკუთარი ფულადი სახსრები და ერთად ისინი ახდენენ ეკონომიკის სტიმულირებას. დაკრედიტების ზრდასთან ერთად იზრდება ხარჯები, ე.ი. იზრდება პარტნიორი სუბიექტების შემოსავლებიც. ერთი სუბიექტის მიერ დახარჯული თანხა წარმოადგენს შემოსავალს სხვა სუბიექტებისთვის, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის სტიმულირებას. ე.ი. ლევერიჯის ფორმულაა - დაბალი საპროცენტო განაკვეთით მოზიდული სახსრების პირობებში კაპიტალის შემოსავლიანობა იყოს წინმსწრები ხარჯების და პირიქით, მაღალპროცენტო-ანი სესხის პირობებში კაპიტალის შემოსავლიანობა იქნება კლებადი და საბოლოოდ გაუტოლდება კრიტიკულ, ვალდებულებების ტოლ ნიშნულს. საჭიროა „ვალდებულება-აქტივი-შემოსავლის“ ჯაჭვის მუდმივი ანალიზი, საკრედიტო პოლიტიკის გეგმაზომიერების დაცვისა და სამეურნეო საქმიანობის სწორი ლევერიჯი.

როგორც უკვე აღინიშნა სტატიაში, ლევერიჯი საკმაოდ სარისკო, მაგრამ საჭიროა საქმიანობის განვითარებისთვის. ლევერიჯის პირობებში დელევერიჯის თავიდან აცილების რეკომენდაციის სახით შეიძლება იქნეს გათვალისწინებული რეი დალიოს<sup>1</sup> რჩევები [3];

1. არ დაუშვან მეურნე სუბიექტებმა ვალდებულებების წინსწრება შემოსავლების დონეზე;
2. არ დაუშვან შემოსავლების წინსწრება მწარმოებლურობის დონეზე, რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს კონკურენტუნარიანობის დაკარგვას;

და ბოლოს,

3. მთელი ძალისხმევა მიმართონ მწარმოებლურობის გასაზრდელად.

სამეურნეო პროცესების მუდმივი ანალიზის, სხვადასხვა რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში თუ მაინც დადგება დელევერიჯის ღონისძიებების ამოქმედების რეალობა, საჭიროა ელემენტარული ცოდნა, ამ ღონისძიებების და მათი თანმდევი შედეგების მოლოდინის შესახებ. სამეურნეო სუბიექტებს უნდა შეეძლოთ მოსალოდნელი რისკების გათვლა და იმ შესაძლო ღონისძიებათა პროგნოზირება, რაც შედეგად მოჰყვება როგორც ლოკალური, ისე გლობალური ხასიათის კრიზისების დელევერიჯის პროცესს.

---

<sup>1</sup> ამერიკელი ბიზნესმენი, მილიარდერი, უმსხვილესი საინვესტიციო ფონდ „[Bridgewater Associates](#)“ - ის დამაარსებელი.

## გამოყენებული წყაროები:

- [1] საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი # 213, იანვარი-დეკემბერი, 2016წ. გვ.36-40.
- [2] საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2016, ყოველწლიური პუბლიკაცია. საქართველო, თბილისი 2016 წ. გვ257.
- [3] Dalio R., “Principles”. Publisher: [Simon & Schuster](#). - 2017. Pg. 592.
- [3]]<https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/2013/annualgeo/bulletin2016geo.pdf>.
- [4] <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2017/annualgeofinal140717.pdf>.